

შპს „ქარვასლა 2003„

**ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-15

**შპს „ქარვასლა 2003“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)**

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,930	-
არამატერიალური აქტივები		-	-
საინვესტიციო ქონება	8	2,076,238	275,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,079,168	275,250
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	5,131	3,853
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	12,857	3451
მარაგები		-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,988	7,304
სულ აქტივები		2,097,156	282,554
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		145,801	145,801
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,930,157	109,529
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		2,075,958	255,330
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	10,896
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	10,896
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	9,163	2,738
საგადასახადო ვალდებულებები		12,035	13,590
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,198	16,328
სულ ვალდებულებები		21,198	27,224
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,097,156	282,554

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

მპს „ქარვასლა 2003“,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,930	-
არამატერიალური აქტივები		-	-
საინვესტიციო ქონება	8	2,076,238	275,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,079,168	275,250
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	5,131	3,853
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	12,857	3451
მარაგები		-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
გაცემული სესხები		-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		17,988	7,304
სულ აქტივები		2,097,156	282,554
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		145,801	145,801
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,930,157	109,529
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		2,075,958	255,330
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	10,896
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	10,896
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	9,163	2,738
საგადასახადო ვალდებულებები		12,035	13,590
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,198	16,328
სულ ვალდებულებები		21,198	27,224
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,097,156	282,554

დირექტორი: 

მთავარი ბუღალტერი :

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	<u>11</u>	1,235,290	1,257,341
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		1,235,290	1,257,341
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>13</u>	(240,464)	(391,302)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		-	-
სხვა ხარჯები	<u>12</u>	(14,090)	(7574)
საოპერაციო მოგება		980,735	858,465
ფინანსური შემოსავალი		1,800,988	-
ფინანსური ხარჯი		-	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		1,258	(6,468)
მოგება დაბეგვრამდე		2,782,981	851,997
მოგების გადასახადი	<u>14</u>	(144,353)	(113,118)
წმინდა მოგება		2,638,628	738,879
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,638,628	738,879

დირექტორი:


მთავარი ბუღალტერი :


მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	<u>11</u>	1,235,290	1,257,341
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		1,235,290	1,257,341
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>13</u>	(240,464)	(391,302)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები		-	-
სხვა ხარჯები	<u>12</u>	(14,090)	(7574)
საოპერაციო მოგება		980,735	858,465
ფინანსური შემოსავალი		1,800,988	-
ფინანსური ხარჯი		-	-
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		1,258	(6,468)
მოგება დაბეგვრამდე		2,782,981	851,997
მოგების გადასახადი	<u>14</u>	(144,353)	(113,118)
წმინდა მოგება		2,638,628	738,879
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,638,628	738,879

დირექტორი: 

მთავარი ბუღალტერი: 

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

**საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	145,801		241,540	387,341
წმინდა მოგება	-	-	508,988	508,988
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	508,988	508,988
გაცემული დივიდენდი	-	-	(641,000)	(641,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	145,801	-	109,528	255,330
წმინდა მოგება	-	-	2,638,628	2,638,628
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,638,628	2,638,628
გაცემული დივიდენდი	-	-	(818,000)	(818,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	145,801	-	1,930,157	2,075,958

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი :

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	145,801		241,540	387,341
წმინდა მოგება	-	-	508,988	508,988
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	508,988	508,988
გაცემული დივიდენდი	-	-	(641,000)	(641,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	145,801	-	109,528	255,330
წმინდა მოგება	-	-	2,638,628	2,638,628
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,638,628	2,638,628
გაცემული დივიდენდი	-	-	(818,000)	(818,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	145,801	-	1,930,157	2,075,958

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქარვასლა 2003“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა --2003 წლის 30 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ისანი-სამგორის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206128670

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული ფართის იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორია.

კომპანიის დირექტორია გურამ დიდიბარიძე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 145 081(ასორმოცდახუთი ათას ოთხმოცდაერთი) ლარს.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 12 ადამიანი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- მანანა ბალახაძე , პ/ნ 01008007275 - 33.25%
- ნატო თოდუა, პ/ნ 01009007098 - 23.75%
- დავით დიდიბარიძე, პ/ნ 01024011675 - 14.25%
- მურმან ხვედელიძე, პ/ნ 01024011239 - 17.50%
- დემურ ბურკაძე, პ/ნ 01027015645 - 10%
- ანა ხვედელიძე, პ/ნ 01008025622 - 1.25%

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბუთს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). კომპანია პირველად ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით ანგარიშგებას, ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა , მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საადრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. საზოგადოების ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდში თორმეტი თვის განმავლობაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გაწეული მომსახურების და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება თუ რამდენად

მოსალოდნელია თანხის ამოღება და ხომ არ არსებობს რაიმე ვარაუდი, რომ ეს თანხები მომავალში არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი გარემოების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი ეყრდნობა მოთხოვნის ნაშთების ვადას, ხდება მოთხოვნის გადატანა საექსპო მოთხოვნების ანგარიშზე და შესაბამისად გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება.

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%- იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად. მოგების გადასახადს იხდის მხოლოდ განაწილებული დივიდენდის გადახდის დროს. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება

საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეფასებების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ: განკუთვნილია მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში, ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, მოთხოვნებს მიმდინარე პერიოდში, ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ: მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო განმავლობაში. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

სახელფასო განაცემები

ხელფასები და ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ღივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვეთება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ტრანზაქციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის. საინვესტიციო ქონების

თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ ჯგუფი მოელის მისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება შენობებად. მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

უცხოური ვალუტის აღრიცხული ოპერაციები. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,131	3,853
	<u>5,131</u>	<u>3,853</u>

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	174,805	165,399
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	(391,948)	(391,948)
სხვა მოთხოვნები	230,000	230,000
	<u>12,857</u>	<u>3,451</u>

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2018	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	6,214	7,405
მიღებული ავანსები	2,948	333
საგადასახადო ვალდებულებები	12,034	13,590
	<u>21,197</u>	<u>21,328</u>

8. საინვესტიციო ქონება

ლარში	31/12/2018	31/12/2017
თავდაპირველი ღირებულება		
1.01.2018	275,250	275,250
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	1,800,988	
რეალური ღირებულება		
31.12.2018	<u>2,076,238</u>	<u>-</u>
	<u>2,076,238</u>	<u>275,250</u>

9. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
ლარში			
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	-
შესყიდვა	1,186	1,996	3,182
გასვლა	-	-	-
გაუფასურება	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,186	1,996	3,182
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,186	1,996	3,182
ცვეთის ხარჯი	176	76	252
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,010	1,920	2,930
საბალანსო ღირებულება			
2017 წლის ბოლოს	-	-	-
2018 წლის ბოლოს	1,010	1,920	2,930

10. სესხები

ლარი	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2018	31/12/2017	31/12/2018	31/12/2017
ბანკის სესხები	-	-	-	10,896
დაკავშირებული მხარეების სესხები	-	-	-	-
-	-	-	-	-
ოვერდრაფტები	-	-	-	-
სულ სესხები	-	-	-	10,896

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2018 წლის 01 იანვარი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7.5%. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილი იყო საწარმოს საინვესტიციო ქონებით.

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების მოძრაობა	ფინანსური ინსტიტუტები	დამოკიდებული მხარეები
სესხის ძირის დაფარვა	10,896	
სესხის აღება	-	
პროცენტის დაფარვა	58	
არაფულადი ნაკადების მოძრაობა	-	
პროცენტის დარიცხვა	58	
გადაფასება	225	
2018 წლის 31 დეკემბერი	-	

11. ამონაგები

ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
მომსახურების რეალიზაცია	1,235,290	1,257,341
	1,235,290	1,257,341

12. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
დაზღვევის ხარჯი	2,265	-
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	-	-
ქონების გადასახადი	11,825	12,399
	14,090	12,399

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
ძრომის ანაზღაურება	145,610	140,828
ცვეთა და ამორტიზაცია	252	-
კომუნალური ხარჯი	52,371	50,005
საკონსულტაციო ხარჯი	4,800	15,838
რემონტის ხარჯი	29,086	8011
ბანკის მომსახურება	913	1,114
საკანცელარიო ხარჯი	161	352
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	6869	612
კომუნიკაციის ხარჯები	403	180
	<u>240,464</u>	<u>216,940</u>

14. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2018	31/12/2017
მიმდინარე მოგების ხარჯი	144,353	113,117
	<u>144,353</u>	<u>113,117</u>

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
------	-------------------------------	-------------------------------

2018 წლის დასაწყისში

სესხები	10,896	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		16328
2018 წლის ბოლოს	-	21,198

ფინანსური აქტივები

ლარი	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2018 წლის დასაწყისში		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		5,131
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		12,857
გაცემული სესხები		
2018 წლის ბოლოს	-	17,988

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა

იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

16. პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას, მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს შესაძლებლობას. ამ ანალიზში მენეჯმენტმა განიხილა ყველა ზემოთ განხილული რისკი, მათ შორის ლიკვიდურობის და სავალუტო რისკების. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ საანგარიშო თარიღისთვის კომპანიის საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 10 დეკემბერს

დირექტორი - გურამ დიდბარიძე

